ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

საერთო დანიშნულების სახელმწიფო
მომსახურების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

გიორგი კეკელიშვილი

31 დეკემბერი 2021 წელი

N 61/36

ეგზ.: N1

ქართულ დიასპორასთან კავშირების
გაძლიერების ეფექტიანობის აუდიტის
ანგარიში

სარჩევი

ტერმინთა განმარტებები და შემოკლებები....4
შემაჯამებელი მიმოხილვა და რეკომენდაციები 5
აუდიტის მოტივაცია....8
აუდიტის მიზანი და კითხვები....10
შეფასების კრიტერიუმები 10
აუდიტის მასშტაბი....10
აუდიტის მეთოდოლოგია....11
ზოგადი ინფორმაცია....12

გამოვლენილი გარემოებები....15
1. პროექტის დაგეგმვის ხარვეზები 15
2. ემიგრაციაში მყოფ თანამემამულეთა არასაკმარისი წვდომა დიასპორულ პროექტებზე 16
3. არაეფექტიანად განხორციელებული პროექტები 17
4. დაგეგმილი და შეუსრულებელი ღონისძიებები....19
4.1 მიგრაციის სტრატეგიით შეუსრულებელი აქტივობები 19
4.2 უწყებათაშორისი არაკოორდინირებული საქმიანობა....20
5. არასაკმარისი აქტივობა ერთიანი დიასპორული ქსელის შესაქმნელად 21

ტერმინთა განმარტებები და შემოკლებები

სსიპ – საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

სამინისტრო – საგარეო საქმეთა სამინისტრო.

დეპარტამენტი – საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი.

კონკურსანტი – დიასპორის პროექტებში დაფინანსების მიღების მსურველი პრეტენდენტი.

ბენეფიციარი – დიასპორული პროექტებით მოსარგებლე პირი.

დიპლომატიური წარმომადგენლობები – საზღვარგარეთის ქვეყნებში საქართველოს საელჩოები და საკონსულოები.

სტრატეგია – საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია.

მიგრაციის საბჭო – მიგრაციის საკითხთა სამდივნო კომისია.

შემაჯამებელი მიმოხილვა და რეკომენდაციები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა განახორციელა ქართულ დიასპორასთან კავშირების გაძლიერების ეფექტიანობის აუდიტი, რომლის მიზანია სისტემური ხასიათის ნაკლოვანებების გამოვლენა და მათ აღმოსაფხვრელად ქმედითი რეკომენდაციების გაცემა.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი მიგნებები:

პროექტის დაგეგმვის ხარვეზები

დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული კვლევები საჭიროებების შესახებ, დიასპორული პროექტების ეფექტიანად დაგეგმვისათვის არ არის საკმარისი, ვინაიდან გამოკითხულია მხოლოდ დიასპორული ორგანიზაციები – საკვირაო სკოლები და სამრევლოები, რომელთა საჭიროებები შესაძლოა განსხვავდებოდეს დიასპორის ცალკეული წარმომადგენლის საჭიროებებისგან. არ არის განსაზღვრული პროგრამის შესრულებისა და მისაღწევი შედეგის ვადები, ასევე არ განხორციელებულა პროექტების ეფექტიანობისა და მიღწეული შედეგების შეფასება.

შედეგად, აუდიტის ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას, შეაფასოს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ დაგეგმილი აქტივობები რამდენად სრულყოფილად მოიცავდა და ეფექტიანად მართავდა დიასპორის საჭიროებებს.

ემიგრაციაში მყოფ თანამემამულეთა არასაკმარისი წვდომა დიასპორულ პროექტებზე

აუდიტის პერიოდში „ერთიანი, ძლიერი, სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის მქონე დიასპორის“ პროგრამის ფარგლებში გაცემული გრანტების მართვა მიმდინარეობდა გარკვეული ხარვეზებით. კერძოდ, საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმებში არ იყო ასახული კომისიის მიერ თითოეული კანდიდატის შეფასების დასაბუთებული შედეგები. ამასთანავე, საკონკურსო კომისიის საქმიანობის წესით განსაზღვრულ კრიტერიუმებს არ ჰქონდა დადგენილი შესაბამისი ქულები.

შესაბამისად, ვერ მივიღეთ დოკუმენტურად დადასტურებული ინფორმაცია რა მსჯელობებს ეყრდნობოდა კომისია როგორც დაფინანსებული, ისე უარყოფილი კონკურსანტების შემთხვევებზე.

არაეფექტიანად განხორციელებული პროექტები

ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით, დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტში არსებული კონტროლის მექანიზმები საჭიროებს სრულყოფას, ვინაიდან ორ შემთხვევაში შესრულებულ სამუშაოთა დამადასტურებელი დოკუმენტები არ არის წარმოდგენილი, ასევე რიგ შემთხვევებში დიასპორის წარმომადგენლებს შორის არ იქნა სათანადოდ გავრცელებული ინფორმაცია დეპარტამენტის საგრანტო დაფინანსებით მიმდინარე პროექტებზე.

შესაბამისად, დეპარტამენტი მოკლებულია შესაძლებლობას – შეაფასოს განხორციელებული პროექტებით მიღწეული შედეგები და საგრანტო პირობების შეუსრულებლობის შემთხვევებზე, კონკურსანტებისგან დროულად გამოითხოვოს გაცემული საბიუჯეტო სახსრები.

დაგეგმილი და შეუსრულებელი ღონისძიებები

2016-2020 წლების საქართველოს მიგრაციის სტრატეგიით, „ერთიანი, ძლიერი, სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის მქონე დიასპორის პროგრამითა“ და საქმიანობის გეგმებით გათვალისწინებულ აქტივობებს/ღონისძიებებს დეპარტამენტი არ ახორციელებს სრულყოფილად. შედეგად, პროგრამის 48 აქტივობიდან, 8 არ შესრულებულა. ამასთანავე, დიასპორული ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფო უწყებათა შორის კოორდინირებული სამუშაოები არ ჩატარებულა.

არასაკმარისი აქტივობა ერთიანი დიასპორული ქსელის შესაქმნელად

საქართველოს მიგრაციის სტრატეგიის[1] 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პროფესიული დიასპორული ქსელის შექმნა და განვითარება არ განხორციელდა. აღნიშნული ღონისძიებები შემდგომი წლების სამოქმედო გეგმებით არ არის განსაზღვრული, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ერთიანი და ძლიერი დიასპორის შექმნის მიზნებზე.

გამოვლენილ ნაკლოვანებებზე გაიცა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაცია N 1

დიასპორის საჭიროებებზე მაქსიმალურად მორგებული პროექტების განსახორციელებლად, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა, მიგრაციის სფეროში მოქმედ სხვადასხვა ორგანიზაციასთან თანამშრომლობითა და ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით ჩაატაროს კვლევები, რომლის საფუძველზე შეისწავლის დიასპორის წევრების საჭიროებებს და გამოწვევებს. შეაფასოს უკვე განხორციელებული პროექტების ეფექტიანობა და მომავალი პროექტების ბიუჯეტი დაიგეგმოს ჩატარებული კვლევებისა და პროექტების შეფასების შედეგების გათვალისწინებით.

რეკომენდაცია N 2

გაცემული გრანტების სათანადოდ განკარგვის მიზნით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა, გრანტების გაცემის პროცესში მაქსიმალურად უზრუნველყოს გამჭვირვალობის პრინციპი.

რეკომენდაცია N 3

დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული პროექტების ეფექტიანობის გასაზრდელად, მიზანშეწონილია დეპარტამენტმა გააძლიეროს არსებული კონტროლის მექანიზმები, რომელიც დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან კოორდინაციით უზრუნველყოფს ბენეფიციართა მიერ მიღებული გრანტების მიზნობრივად ხარჯვისა და შედეგების გადამოწმების შესაძლებლობას.

---

1 საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია.

რეკომენდაცია N 4

საქართველოს მიგრაციის სტრატეგიით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების დადგენილ ვადებში შესრულების მიზნით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ დანერგოს კონტროლის შესაფერისი მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანების დროულ და სრულყოფილ შესრულებას.

რეკომენდაცია N 5

დიასპორული პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების მიზნით მიზანშეწონილია, მიგრაციის საბჭოსთან კოორდინაციით ყოველწლიურ სამოქმედო გეგმებში აისახოს ერთიანი დიასპორული ქსელის შექმნის ღონისძიებები, ხოლო დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა „ერთიანი, ძლიერი, სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის მქონე დიასპორის“ პროგრამის ფარგლებში განახორციელოს ერთიანი დიასპორული ქსელის დანერგვის და განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებები.

აუდიტის მოტივაცია

ქვეყნების ჩართულობა გლობალურ მიგრაციულ პროცესებში საგრძნობლად გაიზარდა. შესაბამისად, აქტუალურია მიგრაციის როლი სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ, პოლიტიკურ და დემოგრაფიული კუთხით. მიგრაციის ეფექტიანი მართვა, სახელმწიფო უსაფრთხოების და გრძელვადიანი სტაბილურობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი წინაპირობაა, ასევე წარმოადგენს განვითარებულ სამყაროსთან დაახლოების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს და ხელს უწყობს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მიგრაციის პოტენციალის გამოყენებას.

ემიგრაციას და იმიგრაციას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ მიგრაციული პროცესების ეფექტიანი მართვით განხორციელდეს ნეგატიური ზეგავლენების მინიმიზაცია და პოტენციალის მაქსიმალური ათვისება, ქვეყნის სტრატეგიული, სოციალ-ეკონომიკური, კულტურული თუ სხვა პრიორიტეტული მიზნების მისაღწევად.

ევროკავშირის საბჭოს რეგულაციაში[2] შესული ცვლილებით, 2017 წლის 28 მარტიდან საქართველოს მოქალაქეებს შენგენის ზონაში ვიზის გარეშე მიმოსვლის უფლება მიეცათ, რამაც მიგრაციული პროცესების გააქტიურება გამოიწვია. შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან ქართულ დიასპორასთან კავშირების უზრუნველყოფამ, უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა.

საქართველოს მოქალაქე ემიგრანტთა რიცხოვნობა 2015-2020 წლებში საქსტატის მონაცემებით,[3] წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ N1 გრაფიკზე:[4]

N1 გრაფიკი



2 N539/2001.

3 საქსტატის ვებგვერდზე აღნიშნული მონაცემები წარმოდგენილია 2013 წლიდან.

4 ემიგრანტების ნაკადების დასადგენად საქსტატი იყენებს გაეროს მიერ რეკომენდებულ მეთოდოლოგიას, რომლის მიხედვითაც, ემიგრანტად მიიჩნევა ნებისმიერი პირი (მოქალაქეობრივი კუთვნილების მიუხედავად), რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ 2 პირობას: 1. დატოვა საქართველო ბოლო 12 თვეში და, სულ მცირე, 183 დღე (შესაძლებელია, ეს იყოს რამდენიმე გასვლის კუმულაციური ჯამი) იმყოფებოდა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე და 2. საქართველო იყო მისთვის მუდმივი საცხოვრებელი ქვეყანა, ე.ი. მას ქვეყნიდან გასვლამდე წინა 12 თვეში საქართველოში გატარებული ჰქონდა, სულ მცირე, 183 დღე (ხანგრძლივობის კუმულაციური ჯამი); ინფორმაციას იმიგრანტებისა და ემიგრანტების შესახებ საქსტატი იღებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან.

ქვემოთ მოცემულ N1 ცხრილში წარმოდგენილია 2015-2020 წლებში ემიგრანტთა ასაკობრივი თანაფარდობა:

N1 ცხრილი

2015-2020 წლებში ემიგრანტთა ასაკი	წილი
0-14	9.9%
15-64	86.2%
65+	3.9%

1994-2019 წლებში,[5] საქართველოს მიგრაციის სალდო[6] ყოველ წელს ნეგატიური იყო, რაც ნიშნავს, რომ ქვეყნიდან ემიგრანტი მეტი გავიდა, ვიდრე იმიგრანტი[7] შემოვიდა. 2015-2020 წლების მიგრაციის სალდო წარმოდგენილია N2 გრაფიკის სახით:

N2 გრაფიკი



განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დიასპორის საკითხებში ეფექტიანი, ურთიერთმხარდაჭერის პრინციპზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავება. საქართველოს სახელმწიფოსთვის უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებზე ზრუნვა ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. აუცილებელია, რომ უცხოეთში მცხოვრები ქართველები აქტიურად იყვნენ ჩართულნი ქვეყნის ეკონომიკურ, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, ახორციელებდნენ ქართული კულტურის პროპაგანდას, იქმნებოდეს კულტურის ცენტრები, ყალიბდებოდეს ენის შემსწავლელი წრეები, შემოქმედებითი გაერთიანებები და ა.შ. დიასპორის ჩართულობის უზრუნველყოფის გზით, არაერთმა სახელმწიფომ განვითარების პროცესში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გადაწყვიტა განეხორციელებინა ქართულ დიასპორასთან კავშირების გაძლიერების ეფექტიანობის აუდიტი.

---

5 საქსტატის მონაცემებით.

6 სხვაობა იმიგრანტებისა და ემიგრანტების რიცხოვნობას შორის წლის განმავლობაში.

7 პირი, რომელმაც გადმოკვეთა საქართველოს საზღვარი და ბოლო 12 თვის განმავლობაში, სულ მცირე, 183 დღით (შესაძლებელია ეს იყოს რამდენიმე შემოსვლის კუმულაციური ჯამი) იმყოფებოდა საქართველოს ტერიტორიაზე და საქართველო არ იყო მისთვის მუდმივი საცხოვრებელი ქვეყანა (ე.ი. მას საქართველოს საზღვრებს გარეთ წინა 12 თვეში გატარებული ჰქონდა სულ მცირე 183 დღე).

აუდიტის მიზანი და კითხვები

აუდიტის მიზანია შეისწავლოს, რამდენად უზრუნველყოფილია საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების ინტერესების განხორციელების შესაძლებლობა და ასევე, რამდენად გამოიყენება ქვეყნის განვითარებისთვის დიასპორის პოტენციალი.

აუდიტის მთავარი კითხვა:

რამდენად უზრუნველყოფილია სახელმწიფოსა და დიასპორას შორის ორმხრივ სარგებლიანობაზე დაფუძნებული მჭიდრო კავშირის განვითარება?

აუდიტის ქვეკითხვებია:

რამდენად არის უზრუნველყოფილი ქართული დიასპორის წვდომა ქვეყნის შესაძლებლობებზე?
როგორ იყენებს სახელმწიფო ქართული დიასპორის პოტენციალს?

შეფასების კრიტერიუმები

აუდიტის შეფასების კრიტერიუმებად გამოყენებულია სამართლებრივი აქტები, კვლევები, სტრატეგიული დოკუმენტები, მიმოხილვები.

- საქართველოს კანონი „დიასპორის შესახებ“;
- საქართველოს მიგრაციის სტრატეგია;
- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2017 წლის 4 დეკემბრის N01-255 ბრძანება „ერთიანი, ძლიერი, სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის მქონე დიასპორის პროგრამის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მიგრაციის პოლიტიკის სამოქმედო გეგმები;
- საქართველოს მიგრაციის კომისიის ანგარიშები;
- საერთაშორისო კვლევები დიასპორის პრობლემების შესახებ;
- IOM კვლევები და ანგარიშები.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის ობიექტად განისაზღვრა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი. აუდიტი მოიცავს 2017 წლიდან 2021 წლამდე პერიოდს.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის კითხვებზე პასუხის გასაცემად და შესაბამისი მტკიცებულებების მიღების მიზნით, აუდიტის ჯგუფმა განსაზღვრა შემდეგი პროცედურები:

- სამართლებრივი ბაზის და მარეგულირებელი ნორმების ანალიზი;
- სამინისტროსა და დეპარტამენტის შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუები;
- დეპარტამენტის მიერ გაგზავნილი და მიღებული კორესპონდენციების შესწავლა;
- დეპარტამენტიდან მიღებული დოკუმენტების ანალიზი;
- საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული კვლევების, შეფასებებისა და ანგარიშების შესწავლა.

ზოგადი ინფორმაცია

დიასპორული ორგანიზაციები

საქართველოს საზღვრებს გარეთ ქართული დიასპორის წარმომადგენლები ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების, ისტორიული სამშობლოს პოპულარიზაციის და მასთან კავშირის უზრუნველსაყოფად, ქმნიან დიასპორულ ორგანიზაციებს, რომლებიც ერთ ქვეყანაში შესაძლოა რამდენიმე იყოს და სხვადასხვა მიმართულებით საქმიანობდნენ (მაგალითად: კულტურული, სპორტული, საკონსულტაციო და ა.შ.). დღეისათვის არსებობს 284 დიასპორული ორგანიზაცია.[8] განსაკუთრებით დიდია მათი რაოდენობა შემდეგ ქვეყნებში: აშშ, რუსეთი, გერმანია, საბერძნეთი.

დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი 2008 წელს შეიქმნა. მისი მიზანი იყო საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის გაღრმავება. 2017 წლის იანვრიდან გაუქმდა დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი და მისი ფუნქციები შეითავსა საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა, რომლის საქმიანობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს კანონი „უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ“. დეპარტამენტის ძირითადი ამოცანაა დიასპორასთან ისეთი მდგრადი კავშირის განვითარება, რომელიც თანამემამულეებისათვის სახელმწიფოს შესაძლებლობებზე ფართო წვდომას, ქვეყნისთვის კი სახელმწიფო ინტერესების ეფექტიან განხორციელებას უზრუნველყოფს.

დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დებულებით[9] განსაზღვრული ძირითადი ამოცანებია:

- საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან მდგრადი ურთიერთობების განვითარება;
- უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და იქ მოქმედი დიასპორული ორგანიზაციების საინფორმაციო-ანალიტიკური ბაზის შექმნა;
- დიასპორული ორგანიზაციების რეესტრის შექმნა და წარმოება;
- საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეების მიერ ეროვნული და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების ხელშეწყობა;
- საქართველოს მდგრადი განვითარების პროცესში ქართული დიასპორის აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა;
- ემიგრანტთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა;
- დიასპორასთან დაკავშირებული წინადადებების მომზადება.

დეპარტამენტში სამმართველოს სახით შედის ორი სტრუქტურული ქვედანაყოფი. სამმართველოების ძირითადი ფუნქციები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე:

---

8 დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მონაცემებით.

9 საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N01-27 ბრძანება „საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“.

თანამემამულეებთან და დიასპორულ ორგანიზაციებთან ურთიერთობის სამმართველო	დიასპორული პროგრამების სამმართველო
• კავშირების დამყარება უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან და დიასპორულ ორგანიზაციებთან; • დიასპორული ორგანიზაციების მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება; • უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და იქ მოქმედი დიასპორული ორგანიზაციების საინფორმაციო-ანალიტიკური ბაზის შექმნა და განახლება; • დიასპორული კალენდრის წარმოება.	• დიასპორასთან დაკავშირებული პროგრამებისა და ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება; • დიასპორის თემატიკის თაობაზე კონფერენციებისა და სემინარების ჩატარების ორგანიზების, ასევე საგამომცემლო საქმიანობის, მათ შორის, დამხმარე სახელმძღვანელოების გამოცემის ხელშეწყობა; • დიასპორასა და გარე მიგრაციაში (ემიგრაციაში) მიმდინარე პროცესების შესწავლის მიზნით კვლევების განხორციელების ხელშეწყობა.

2018-2020 წლებში დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა განახორციელა შემდეგი პროექტები:

- ქართული საკვირაო სკოლების მხარდაჭერის პროგრამა;
- პროექტი „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“;
- მაღალპროფილური დიასპორის წარმომადგენლების დაჯილდოების პროექტი;
- პროგრამა „მომავლის ბანაკი“;
- დიასპორის დღე;
- საგრანტო პროგრამა „დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობა“;
- უცხოეთში არსებული ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლების მხარდაჭერა.

ქვემოთ მოცემულ N2 ცხრილში წარმოდგენილია 2018-2020 წლებში[10] დიასპორული პოლიტიკის ბიუჯეტი:

N2 ცხრილი

დასახელება	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
დიასპორული პოლიტიკა	748,400	1,497,800	2,700,000
ხარჯები	535,400	1,220,000	1,200,000
არაფინანსური აქტივების ზრდა	213,000	277,800	1,500,000

10 2017 წელს დიასპორული პოლიტიკის პროგრამის დაფინანსება არ იყო ცალკე გამოყოფილი და იგი ფინანსდებოდა საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის ბიუჯეტიდან.

საქართველოს მიგრაციის სტრატეგია

საქართველოს მთავრობის დადგენილებით[11] დამტკიცდა 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია, რომელიც მიგრაციის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტია საქართველოსათვის და შემუშავებულია მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის ფარგლებში მოქმედი მიგრაციის სტრატეგიის სამუშაო ჯგუფის მიერ.[12] სტრატეგიის ერთ-ერთი სამიზნე ჯგუფია საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეები და დიასპორის წარმომადგენლები, რაც ადასტურებს დიასპორის ჩართულობის მნიშვნელობას ქვეყნის განვითარების პროცესში.

საქართველოს მიგრაციის პოლიტიკის მიზანია, საქართველოში მიგრაციის მართვის ისეთი საკანონმდებლო და ინსტიტუციური სივრცის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ევროკავშირთან კიდევ უფრო დაახლოებას; ხელს შეუწყობს სხვადასხვა რელიგიური, კულტურული და ეთნიკური ჯგუფების მშვიდობიან თანაცხოვრებას, იმიგრანტთა უფლებების დაცვას და მათ საზოგადოებაში წარმატებულ ინტეგრაციას; აგრეთვე დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციას, მიგრაციის დადებითი ეკონომიკური და დემოგრაფიული ასპექტების გამოყენებას ქვეყნის განვითარებისთვის და გაზრდის საქართველოს მოქალაქეების ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობებს.

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის 13 წევრი უწყებიდან, მიგრაციის მართვის პროცესში უშუალოდ ჩართული იყო დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი (2017 წლიდან საგარეო საქმეთა სამინისტრო), რომლის კომპეტენციაა საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის გაღრმავება, ქართული დიასპორის წარმომადგენლების ეკონომიკური თუ სოციალური პოტენციალის მობილიზება ქვეყნის განვითარებისთვის და მათში ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნება.

11 მთავრობის 2015 წლის 14 დეკემბრის N622 დადგენილება.

12 სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ კომისიის წევრი 13 სახელმწიფო უწყების, სახალხო დამცველის და სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატის წარმომადგენლები.

გამოვლენილი გარემოებები

1. პროექტის დაგეგმვის ხარვეზები

საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია ერთიანი, ძლიერი და სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის მქონე დიასპორის განვითარების ხელშეწყობა. ამისათვის სახელმწიფო აუცილებლად მიიჩნევს ქართულ დიასპორასთან ისეთი მდგრადი კავშირის ჩამოყალიბებას, რომელიც თანამემამულეებისათვის სახელმწიფოს შესაძლებლობების ფართო ხელმისაწვდომობას, საქართველოსთვის კი – სახელმწიფო ინტერესების ეფექტიან განხორციელებას უზრუნველყოფს.

ზემოაღნიშნულის მისაღწევად, აუცილებელია მიგრაციის პოლიტიკის სწორად და ეფექტიანად განსაზღვრა, რაც, თავის მხრივ, სრულყოფილად უნდა აისახოს ყოველწლიურ სამოქმედო გეგმებსა და განსახორციელებელ პროგრამებში.

საგარეო საქმეთა მინისტრის ბრძანებით[13] დამტკიცდა პროგრამა „ერთიანი, ძლიერი, სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის მქონე დიასპორის შესახებ“, რომლის მიზანია დიასპორის ერთიანობის, სიძლიერისა და სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის შენარჩუნება. პროგრამის განმახორციელებელია დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი.

პროგრამით წარმოდგენილია დიასპორასთან დაკავშირებით სამინისტროს სტრატეგიული ხედვა. შესაბამისად, გათვალისწინებული აქტივობები სრულად უნდა შეესაბამებოდეს დიასპორის მოთხოვნებს, რომელთა დასადგენად აუცილებელია სხვადასხვა წყაროდან საჭიროებების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და მათი ანალიზის საფუძველზე მოქმედების სწორი მიმართულებების განსაზღვრა.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

- დეპარტამენტს განხორციელებული აქვს მხოლოდ დიასპორული ორგანიზაციების, საკვირაო სკოლებისა და სამრევლოების გამოკითხვა, რომელთა საჭიროებები შესაძლოა განსხვავდებოდეს დიასპორის ცალკეული წარმომადგენლის საჭიროებებისგან. დიასპორის ცალკეული წარმომადგენლის თუნდაც ელექტრონული ფორმით გამოკითხვა, ხელს შეუწყობდა პრიორიტეტების უფრო სწორად განსაზღვრას;
- არ არის მითითებული პროგრამის მოქმედების, შესრულებისა და მისაღწევი შედეგის ვადები;
- დეპარტამენტს არ განუხორციელებია ისეთი მოქმედებები, როგორიცაა: პროექტების ეფექტიანობისა და მიღწეული შედეგების გაზომვა და შეფასება, რაც აუცილებელია შემდგომში დიასპორის საჭიროებებზე მორგებული ღონისძიებების დაგეგმვისა და შესრულებისათვის.[14]

13 2017 წლის 4 დეკემბრის N01-255 ბრძანება.

14 GIZ-თან თანამშრომლობით 2021 წელს მიმდინარეობს საგრანტო პროექტების ეფექტიანობის და ხარისხის შეფასების პროცესი.

დასკვნა

დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული კვლევები საჭიროებების შესახებ, დიასპორული პროექტების ეფექტიანად დაგეგმვისათვის არ არის საკმარისი, ვინაიდან გამოკითხულია მხოლოდ დიასპორული ორგანიზაციები, საკვირაო სკოლები და სამრევლოები, რომელთა საჭიროებები შესაძლოა განსხვავდებოდეს დიასპორის ცალკეული წარმომადგენლის საჭიროებებისგან. არ არის განსაზღვრული პროგრამის შესრულებისა და მისაღწევი შედეგის ვადები; ასევე არ განხორციელებულა პროექტების ეფექტიანობისა და მიღწეული შედეგების შეფასება.

შედეგად, აუდიტის ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას, შეაფასოს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ დაგეგმილი აქტივობები რამდენად სრულყოფილად მოიცავდა და ეფექტიანად მართავდა დიასპორის საჭიროებებს.

რეკომენდაცია N 1

დიასპორის საჭიროებებზე მაქსიმალურად მორგებული პროექტების განსახორციელებლად, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა, მიგრაციის სფეროში მოქმედ სხვადასხვა ორგანიზაციასთან თანამშრომლობითა და ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით ჩაატაროს კვლევები, რომლის საფუძველზეც შეისწავლის დიასპორის წევრების საჭიროებებს და გამოწვევებს. შეაფასოს უკვე განხორციელებული პროექტების ეფექტიანობა და მომავალი პროექტების ბიუჯეტი დაიგეგმოს ჩატარებული კვლევებისა და პროექტების შეფასების შედეგების გათვალისწინებით.

2. ემიგრაციაში მყოფ თანამემამულეთა არასაკმარისი წვდომა დიასპორულ პროექტებზე

„ახალგაზრდა ელჩებისა“ და „დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობის“ საგრანტო პროგრამების საკონკურსო კომისიის საქმიანობის წესის თანახმად, გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები მოიცავდა კონკურსანტის კვალიფიკაციის, პროფესიული დონის, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების შეფასებას. პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა ეფუძნებოდა კანდიდატების მიერ წარდგენილი დოკუმენტების, გასაუბრების შედეგების, სამუშაო გამოცდილებისა და განათლების შეფასებას, ხოლო შეფასების დასაბუთებული შედეგი უნდა ასახულიყო კომისიის სხდომის ოქმებში.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ კომისიის[15] სხდომის ოქმებში არ არის ასახული კომისიის მიერ თითოეული კანდიდატის შეფასების დასაბუთებული შედეგები. შესაბამისად, ვერ მივიღეთ დოკუმენტურად დადასტურებული ინფორმაცია, როგორც დაფინანსებული, ისე უარყოფილი კონკურსანტების შემთხვევებზე – კომისია რა მსჯელობებს ეყრდნობოდა. ასევე ნაკლოვანებები აღინიშნება საკონკურსო კომისიის საქმიანობის წესშიც. კერძოდ, არ იყო დადგენილი, რომელი კრიტერიუმი რა ქულით უნდა შეფასებულიყო.

15 მიღებული განმარტებით, კომისია დაკომპლექტებული იყო მრავალუწყებივი შემადგნელობით, მათ შორის, პარლამენტის წევრებით, მინისტრის მოადგილეებით, პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებით.

დასკვნა

აუდიტის პერიოდში „ერთიანი, ძლიერი, სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის მქონე დიასპორის“ პროგრამის ფარგლებში გაცემული გრანტების მართვა მიმდინარეობდა გარკვეული ხარვეზებით. კერძოდ, საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმებში არ იყო ასახული კომისიის მიერ თითოეული კანდიდატის შეფასების დასაბუთებული შედეგები. ამასთანავე, საკონკურსო კომისიის საქმიანობის წესით განსაზღვრულ კრიტერიუმებს არ ჰქონდა დადგენილი შესაბამისი ქულები.

შესაბამისად, ვერ მივიღეთ დოკუმენტურად დადასტურებული ინფორმაცია რა მსჯელობებს ეყრდნობოდა კომისია როგორც დაფინანსებული, ისე უარყოფილი კონკურსანტების შემთხვევებზე.

რეკომენდაცია N 2

გაცემული გრანტების სათანადოდ განკარგვის მიზნით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა, გრანტების გაცემის პროცესში მაქსიმალურად უზრუნველყოს გამჭვირვალობის პრინციპი.

3. არაეფექტიანად განხორციელებული პროექტები

დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი ახორციელებს სხვადასხვა პროექტს. მათ შორის აუდიტის პერიოდში განხორციელებული პროექტებია:

- ქართული საკვირაო სკოლების მხარდაჭერის პროგრამა;
- პროექტი „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“;
- მაღალპროფილური დიასპორის წარმომადგენლების დაჯილდოების პროექტი;
- პროგრამა „მომავლის ბანაკი“;
- დიასპორის დღე;
- საგრანტო პროგრამა „დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობა“;
- უცხოეთში არსებული ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლების მხარდაჭერა.

აღნიშნული პროექტები ითვალისწინებს დიასპორის წარმომადგენლებთან უფრო ეფექტიან, ორმხრივ სარგებლობაზე დაფუძნებული კავშირის გაძლიერებასა და გაუმჯობესებას.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ რიგ შემთხვევაში ვერ ხორციელდებოდა პროექტში გამარჯვებულთა მიერ მიმდინარე ხელშეკრულების პირობების შესრულების ქმედითი და ეფექტიანი კონტროლი. რამდენიმე შემთხვევაში დეპარტამენტის მიერ სრულად არ არის დაანგარიშებული და გამოთხოვილი კონკურსანტების მიერ დასაბრუნებელი თანხები, რაც კონტროლის მექანიზმების არარსებობაზე მიუთითებს:

- 2020 წელს დეპარტამენტის მიერ განხორციელებული „ახალგაზრდა ელჩების“ საგრანტო პროგრამის ფარგლებში, 25 კონკურსანტზე გაცემულია 175,000 ლარი. პროგრამის მონაწილე ბენეფიციარების მხოლოდ ნაწილმა წარმოადგინა ანგარიშები და ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ჩატარებული აქტივობის შესახებ, რამაც სრული თანხის (175,000

ლარის) 21% შეადგინა,[16] ხოლო კონკურსანტების დანარჩენმა ნაწილმა სახელმწიფო ბიუჯეტში დააბრუნა აუთვისებელი გრანტის თანხა 137,999 ლარის[17] ოდენობით;

- 2019-2020 წლებში დეპარტამენტის მიერ განხორციელებული „დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში მონაწილეობა მიიღო 73 ბენეფიციარმა, რომელთაც ჯამურად მიღებული აქვთ 1,316,955 ლარი. აქედან, 2019 წელს გაფორმებული ხელშეკრულებებიდან: ერთ ბენეფიციარს არ წარმოუდგენია შესრულებული სამუშაოს ანგარიშები, ჯამური თანხით – 20,140 ლარი, 2020 წელს ასევე ერთ ბენეფიციარს, ჯამურად – 14,300 ლარი. შესაბამისად, აღნიშნულ ბენეფიციარებთან პროექტების შესრულების და ანგარიშების წარმოდგენის ვადების გასვლის მიუხედავად, დეპარტამენტს აუდიტის პერიოდში არ წარმოუდგენია მიღება-ჩაბარების აქტები[18];
- „ახალგაზრდა ელჩების პროგრამის“ მონაწილე კონკურსანტთა უმეტეს ნაწილს (72%), გამოუყენებელი თანხა გადარიცხული აქვს ბიუჯეტში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1-4 დღის დაგვიანებით, ხოლო 2 შემთხვევაში, თანხის დაბრუნება დაგვიანებულია 13 და 22 დღით. მიღებული განმარტებით, თანხების ბიუჯეტში დაგვიანებით ჩარიცხვა გამოწვეული იყო პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვებით;
- „ახალგაზრდა ელჩების პროგრამის“ კონკურსანტთა მიერ წარმოდგენილი ანგარიშები არ შეესაბამება საკონკურსო განაცხადებში მითითებულ სამოქმედო გეგმებს, ხოლო დაგეგმილი ღონისძიების შეცვლაზე რიგ შემთხვევებში შეთანხმება არ არის წარმოდგენილი.

მიმდინარე პროექტების შესახებ რიგ შემთხვევებში დიასპორის წარმომადგენლებს არ ჰქონდათ სათანადო ინფორმაცია და წვდომა მათთვის საჭირო მიმდინარე აქტივობებზე. კერძოდ, დეპარტამენტმა განახორციელა ქართული დიასპორისათვის უფასო იურიდიული კონსულტაციისა და სამედიცინო მომსახურების პროექტები. პროექტი ითვალისწინებდა კორონავირუსის პანდემიის პერიოდში საგრანტო ხელშეკრულებების ფარგლებში ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში იურისტებისათვის და სამედიცინო პერსონალისათვის გრანტის სახით თანხის ანაზღაურებას, რის სანაცვლოდაც მათ უფასო იურიდიული და სამედიცინო მომსახურება უნდა გაეწიათ ქართული დიასპორის წევრებისათვის. დეპარტამენტმა ვერ უზრუნველყო საგრანტო დაფინანსებით მიმდინარე პროექტებზე აღნიშნული ინფორმაციის სათანადო გავრცელება ვებ-პორტალითა და სხვადასხვა სოციალური ქსელის საშუალებით.

დასკვნა

ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით, დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტში არსებული კონტროლის მექანიზმები საჭიროებს სრულყოფას, ვინაიდან ორ შემთხვევაში შესრულებულ სამუშაოთა დამადასტურებელი დოკუმენტები არ არის წარმოდგენილი, ასევე რიგ შემთხვევებში დიასპორის წარმომადგენლებს შორის არ იქნა სათანადოდ გავრცელებული ინფორმაცია დეპარტამენტის საგრანტო დაფინანსებით მიმდინარე პროექტებზე.

---

16 პროექტის 12-მა მონაწილემ (48%) მიღებული გრანტი ბიუჯეტში დააბრუნა სრულად, რის მიზეზად, მათივე წერილობითი განმარტებებით, დასახელდა 2020 წლის ცნობილი მოვლენები (covid 19 - პანდემია), მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება დადებული იყო და თანხები წინსწრებით იყო ჩარიცხული პანდემიის გამოცხადებამდე თითქმის 3 თვით ადრე.

17 თავდაპირველად დაბრუნებული თანხა შეადგენდა 135,206 ლარს, ხოლო დამატებით 2,793 ლარის სხვაობა გამოვლენილი იყო აუდიტის ჯგუფის მიერ, რაც აუდიტის პერიოდში დამატებით იქნა დაბრუნებული ბიუჯეტში.

18 30.12.2022-ში მიღებული განმარტებით, აუდიტის მიმდინარეობის პერიოდშივე, დიასპორის დეპარტამენტის მიერ მოხდა ხელშეკრულებების გაგრძელების ინიცირება (კოვიდ-19- ით გამოწვეული გარემოებების გათვალისწინებით).

შესაბამისად, დეპარტამენტი მოკლებულია შესაძლებლობას, შეაფასოს განხორციელებული პროექტებით მიღწეული შედეგები და საგრანტო პირობების შეუსრულებლობის შემთხვევებზე, კონკურსანტებისგან დროულად გამოითხოვოს გაცემული საბიუჯეტო სახსრები.

რეკომენდაცია N 3

დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული პროექტების ეფექტიანობის გასაზრდელად, მიზანშეწონილია დეპარტამენტმა გააძლიეროს არსებული კონტროლის მექანიზმები, რომელიც დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან კოორდინაციით უზრუნველყოფს ბენეფიციართა მიერ მიღებული გრანტების მიზნობრივად ხარჯვისა და შედეგების გადამოწმების შესაძლებლობას.

4. დაგეგმილი და შეუსრულებელი ღონისძიებები

4.1 მიგრაციის სტრატეგიით შეუსრულებელი აქტივობები

საქართველოში მიგრაციის პოლიტიკის განსახორციელებლად, შექმნილია საქართველოს მიგრაციის სტრატეგია,[19] რომელიც ქვეყნის მიგრაციის პოლიტიკის განმსაზღვრელი მთავარი დოკუმენტია და მოიცავს თითოეული უწყების მიერ განსახორციელებელი აქტივობების ჩამონათვალს, მათ შორის, საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დიასპორულ საკითხებთან დაკავშირებულ აქტივობებს.

აღნიშნული მიზნების მიღწევის ერთ-ერთი ინსტრუმენტია „ერთიანი, ძლიერი, სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის მქონე დიასპორის პროგრამა“, რომლის მიზანია დიასპორის ერთიანობის, სიძლიერისა და სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის შენარჩუნება.

პროგრამის ძირითად განმახორციელებელს და პასუხისმგებელ უწყებას წარმოადგენს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი. პროგრამის აქტივობების შესრულების უზრუნველსაყოფად დეპარტამენტმა უნდა შეადგინოს წლიური საქმიანობის გეგმა.

2016-2017 წლებში წლიური საქმიანობის გეგმები შედგენილი არ არის. 2018-2020[20] წლებში პროგრამის 48 აქტივობა/ღონისძიებიდან 8 არ შესრულებულა, კერძოდ:

- საკვირაო და ქართულენოვან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეებს შორის ქართული ენის ოლიმპიადის ორგანიზება და გამარჯვებულების საქართველოში მოგზაურობით დაჯილდოება;
- საკვირაო და ქართულენოვან სკოლებში პედაგოგთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების ორგანიზება, სერტიფიცირებისთვის აუცილებელი კურიკულუმებისა და პროგრამების მომზადება, პედაგოგთა პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა საკვირაო და ქართულენოვან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეებს შორის ქართული ენის ოლიმპიადის ორგანიზება და გამარჯვებულების საქართველოში მოგზაუ-

19 აუდიტის პერიოდში მოქმედი იყო 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია.

20 დეპარტამენტის განმარტებით, 2020 წელს აქტივობების განხორციელების ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორს Covid-19 პანდემია წარმოადგენდა.

რობით დაჯილდოება;

- თანამემამულეებისათვის ერთიანი საინფორმაციო-საკომუნიკაციო სივრცის ვებპორტალის აპლიკაციის შექმნა და მისი მეშვეობით მზარდი ინფორმაციული ნაკადის ერთმანეთში გაცვლის ხელშეწყობა;[21]
- სამშობლოში ახალგაზრდა, კვალიფიციური კადრების მოზიდვისა და მათი გამოცდილების გაზიარების მიზნით, დიასპორული სტაჟირების პროგრამის გაფართოება;
- სახალხო დიპლომატიის მექანიზმის აქტიური ამოქმედებისათვის ხალხთაშორისი მეგობრობის პროგრამების დანერგვა და განვითარების ხელშეწყობა;
- ყოველწლიური, სპორტული, დიასპორული „ოლიმპიადის“ ორგანიზება საქართველოში;
- დიასპორული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;
- ახალი სარეინტეგრაციო პროგრამების დანერგვა და განვითარება.

ხოლო ისეთი ღონისძიებები, როგორებიცაა: საზღვარგარეთ დიასპორის წარმომადგენლებისათვის სამედიცინო აქციები, ექიმების ჯგუფის გაგზავნა, უფასო სამედიცინო კონსულტაციები და მკურნალობის ხელშეწყობა და ასევე თანამემამულეებისათვის მშობლიურ ენაზე იურიდიული კონსულტაციის გაწევა – აუდიტის პერიოდში შესრულებულია ნაწილობრივ.[22]

4.2 უწყებათაშორისი არაკოორდინირებული საქმიანობა

ქართულ დიასპორასთან მჭიდრო და ურთიერთსარგებლიანი კავშირისათვის მნიშვნელოვანია დიასპორის წინაშე არსებულ გამოწვევებსა და პრობლემებზე დროული და ეფექტიანი რეაგირება. აუცილებელია შესაბამის სახელმწიფო და სამთავრობო უწყებებს შორის აღნიშნულ საკითხებზე არსებობდეს სათანადო კოორდინაცია.

გამოვლინდა, რომ მიგრაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმების ისეთი ამოცანები/ღონისძიებები, რომლებშიც ჩართული უნდა ყოფილიყო ერთზე მეტი უწყება, ხშირ შემთხვევაში არ არის შესრულებული.

სახელმწიფო უწყებებს შორის არ განხორციელდა სათანადო კოორდინაცია ისეთი ღონისძიებების გასატარებლად, როგორიცაა:

- ზოგიერთ ქვეყანაში ქართული დიასპორის წარმომადგენლების უფლებების სათანადო დაცვის უზრუნველყოფა კონკრეტულ შემთხვევაში;
- დიასპორის წარმომადგენლებისთვის ქართული ტელეარხების მაუწყებლობაზე წვდომა;
- ქართული საკვირაო სკოლების გახსნა.

2019 წლის 26 თებერვალს გამართულ დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტისა და განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის ერთობლივ სხდომაზე[23] შემუშავდა რეკომენდაციები ქართული ისტორიული დიასპორის წინაშე არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებით და შესაბამის სამინისტროებს დაევალათ მუშაობა შემდეგ საკითხებზე:

---

21 მიღებული განმარტებით, ვებ-პორტალი სატესტო რეჟიმშია.

22 აქტივობა განხორციელდა მხოლოდ საკონსულტაციო მომსახურების ნაწილში 2020 წელს.

23 საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ საგარეო საქმეთა სამინისტროსა და განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს წარმომადგენლები.

- ქართული ისტორიული დიასპორით დასახლებულ მეზობელ ტერიტორიებზე ქართული ტოპონიმიკის შენარჩუნება/დაცვა;
- მეზობელი ქვეყნების მოსაზღვრე რეგიონებში სამეცნიერო (არქეოლოგიური, ისტორიული, კულტურული და ა.შ.) ექსპედიციების ჩატარება, ქართული ისტორიული ძეგლების აღრიცხვა-შესწავლა, პასპორტიზაცია, დაცვა და, შესაბამისად, ამ ძეგლების წარმოშობისა და ისტორიული მემკვიდრეობის სწორად განსაზღვრა;
- ისტორიულ დიასპორებთან მუშაობის მიმართულებით სახელმძღვანელო დოკუმენტის (კონცეფცია, სტრატეგია, გეგმა ან სხვა სახის დოკუმენტი) შემუშავება.

კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, აღნიშნული საკითხებზე სამინისტროების წარმომადგენლებთან უნდა გამართულიყო კონსულტაციები და რეგულარული სამუშაო შეხვედრები; სამინისტროებს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უნდა წარედგინათ ანგარიში. აღნიშნული ღონისძიებების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები ვერ იქნა წარმოდგენილი.

დასკვნა

2016-2020 წლების საქართველოს მიგრაციის სტრატეგიით, „ერთიანი, ძლიერი, სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის მქონე დიასპორის პროგრამითა“ და საქმიანობის გეგმებით გათვალისწინებულ აქტივობებს/ღონისძიებებს დეპარტამენტი არ ახორციელებს სრულყოფილად. შედეგად, პროგრამის 48 აქტივობიდან – 8 არ შესრულებულა. ამასთანავე, დიასპორული ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფო უწყებათა შორის კოორდინირებული სამუშაოები არ ჩატარებულა.

რეკომენდაცია N 4

საქართველოს მიგრაციის სტრატეგიით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების დადგენილ ვადებში შესრულების მიზნით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ დანერგოს კონტროლის შესაფერისი მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანების დროულ და სრულყოფილ შესრულებას.

5. არასაკმარისი აქტივობა ერთიანი დიასპორული ქსელის შესაქმნელად

ერთიანი და ძლიერი დიასპორის შექმნისთვის აუცილებელია დიასპორული კავშირების გაძლიერება. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის დიასპორებს შექმნილი აქვთ გლობალური დიასპორული ქსელი, რომელიც ქმნის უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების მჭიდრო ბიზნეს და სოციალურ კავშირებს, ხელს უწყობს კომუნიკაციისა და პარტნიორული ურთიერთობების დამყარებას, როგორც სამშობლოსთან, ასევე თვითონ დიასპორის წევრებს შორის.

საერთაშორისო პრაქტიკა

მსოფლიოში ერთიანი და ძლიერი დიასპორული ქსელის მრავალი კარგი მაგალითი არსებობს, თუმცა მიზანშეწონილად მივიჩნიეთ განგვეხილა სხვადასხვა მაჩვენებლით საქართვე-

ლოსთან უფრო მეტად შესადარისი, სომხეთისა და ლიეტუვას დიასპორაში არსებული კავშირები.

ლიეტუვაში, 2009 წელს ჩატარებული პირველი მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის შემდეგ, შეიქმნა პლატფორმა – „მსოფლიო ლიეტუველი ლიდერები“, რომელიც აერთიანებს ლიეტუვური წარმოშობის საერთაშორისო გამოცდილების მქონე 2000 პროფესიონალს/ლიდერს, მსოფლიოს 40 ქვეყნიდან და ხელს უწყობს მაღალკვალიფიციური დიასპორის ერთმანეთთან დაკავშირებას (პროფესიული ქსელის შექმნას), რომლებსაც შეუძლიათ/სურთ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესში წვლილის შეტანა და გლობალურ სამყაროში ქვეყნის პოზიციის გამყარება.

პლატფორმა – „მსოფლიო ლიეტუველი ლიდერების“ მეშვეობით მაღალკვალიფიური დიასპორის წევრები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა პროგრამაში (10-მდე პროგრამა), დამწყებ ნოვატორული/საექსპორტო პოტენციალის მქონე ლიეტუვურ კომპანიებს და მეწარმეებს უზიარებენ იდეებს/საკუთარ გამოცდილებას და უწევენ კონსულტაციებს სხვადასხვა საკითხში. ასევე, წლების მანძილზე წარმატებით ხორციელდება მენტორული პროგრამა, რომლის მიზანია მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტის ლიეტუველი სტუდენტების დაკავშირება წამყვან ლიეტუველ პროფესიონალებთან ცოდნისა და გამოცდილების გასაზიარებლად. შედეგად, ლიეტუვაში დაფუძნდა ვენჩურული კაპიტალის საინვესტიციო ფონდი – Iron Wolf Capital, რომელიც აფინანსებს დამწყებ კომპანიებს, რომლებსაც აქვთ ინოვაციური პროდუქტების შეთავაზებით, ინოვაციური ტექნოლოგიებით ან უნიკალური ბიზნესმოდელის მეშვეობით, გლობალური მასშტაბით კონკურენტული უპირატესობის მოპოვების პოტენციალი. 2019-2021 წლებში ფონდმა 11 სტარტაპში[24] განახორციელა ინვესტიცია, რაც უკვე აისახა დადებითად ლიეტუვის ეკონომიკის განვითარებაზე.

მაღალკვალიფიციური პროფესიონალების ქსელი სახელმწიფოსთან მჭიდრო თანამშრომლობით ქმნის პლატფორმებს (ფორუმები, საქმიანი შეხვედრები, დისკუსიები), სადაც ხდება ინფორმაციის გაცვლა, კონკრეტული საკითხების/პრობლემების გადასაჭრელად ინოვაციური იდეების/მიდგომების გაზიარება/დანერგვა და ინიციატივების წამოყენება.

დიასპორასთან მჭიდრო კავშირების მქონე ქვეყნების ერთ-ერთი მაგალითია ასევე სომხეთის რესპუბლიკა, სადაც დიასპორა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში აქტიურადაა ჩართული. სომხეთის მთავრობამ და დიდმა დიასპორულმა ორგანიზაციებმა შექმნეს ფონდი – Hayastan All-Armenian Fund, რომელმაც დაარსების დღიდან სომხეთში 1300-ზე მეტი მსხვილი პროექტი განახორციელა ინფრასტრუქტურის, ჯანდაცვის, სოციალური კეთილდღეობის, ხელოვნებისა და სპორტის სფეროებში, რის შედეგადაც გაუმჯობესდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. დიასპორასთან სამეცნიერო კვლევებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში მზარდი ურთიერთთანამშრომლობის შედეგად, წარმატებით განხო-

24 ლიეტუველთა გლობალური დიასპორული ქსელის ძალისხმევით მოზიდული ინვესტიციებით შეიქმნა: MILLO Appliances - „სმარტ ბლენდერების“ მწარმოებელი კომპანია; MONIMOTO - მოტოციკლის სმარტ GPS ტრეკერების მწარმოებელი კომპანია; SPRANA - სამეწარმეო პროცესების ანალიზის და მონიტორინგის პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპერი; LITILIT - ლაზერული ტექნოლოგიების მწარმოებელი; PIXEVIA – „სმარტ მაღაზიების“ კომპანია; REDTRACK - მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზისთვის პროგრამული უზრუნველყოფა; EAGRONOM -ფერმერული მეურნეობების საქმიანობის წარმართვისთვის შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფა; AMBERLO - თანამედროვე იურიდიული პრაქტიკის ეფექტურად წარმართვისთვის შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფა; RENDIN - საიჯარო ხელშეკრულებების გაფორმებისთვის შექმნილი ციფრული პლატფორმა; PIPELINEPHARMA - ონლაინ აფთიაქი; FOROS - ონლაინ პლატფორმა მწვანე ინვესტიციების განხორციელებისთვის.

რციელდა ინოვაციური IT პროექტი – Digital Pomegranate,[25] დაარსდა ინოვაციური ტექნოლოგიების ცენტრი – TUMO[26] და UWC სისტემის პირველი საერთაშორისო კოლეჯი პოსტსაბჭოთა სივრცეში – UWC Dilijan.[27]

საქართველო

2016-2020 წლების სტრატეგიის საფუძველზე, მიგრაციის პოტენციალის გამოყენების თვალსაზრისით, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის მიერ შედგენილი 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმით განისაზღვრა პროფესიული დიასპორული ქსელის შექმნა და განვითარება,[28] რაც გააძლიერებდა დიასპორასთან კავშირებს.

ასევე „ერთიანი, ძლიერი, სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის მქონე დიასპორის პროგრამით“ განსაზღვრული იყო თანამემამულეებისათვის ერთიანი საინფორმაციო-საკომუნიკაციო სივრცის ვებპორტალის აპლიკაციის შექმნა და მისი მეშვეობით მზარდი ინფორმაციული ნაკადის ურთიერთგაცვლის ხელშეწყობა, რასაც ინფორმაციის ელექტრონული გაცვლის პლატფორმის სახე ექნებოდა და ხელს შეუწყობდა დიასპორის ქსელის შექმნისათვის განხორციელებულ ქმედებებს[29].

დეპარტამენტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია 2016-2017 წლებში დიასპორული ქსელის შექმნასთან დაკავშირებით განხორციელებულ ქმედებებთან დაკავშირებით, ასევე დიასპორული ქსელის შექმნა-განვითარების ღონისძიებები 2018, 2019 და 2020 წლების სამოქმედო გეგმებში არ იყო განსაზღვრული. აღსანიშნავია, რომ 2017 წლამდე აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება ევალებოდა დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს, რომელიც 2017 წელს განხორციელებული რეორგანიზაციით შეერწყა საგარეო საქმეთა სამინისტროს და შეიქმნა დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი.

დასკვნა

საქართველოს მიგრაციის სტრატეგიის[30] 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პროფესიული დიასპორული ქსელის შექმნა და განვითარება არ განხორციელდა. აღნიშნული ღონისძიებები შემდგომი წლების სამოქმედო გეგმებით არ განსაზღვრულა, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ერთიანი და ძლიერი დიასპორის შექმნის მიზნებზე.

---

25 მობილური და ვებ და ბიზნესაპლიკაციების მწარმოებელი (შექმნილია 274 გლობალური აპლიკაცია).

26 TUMO Center for Creative Technologies. საგანმანათლებლო-შემოქმედებითი ტექნოლოგიების ცენტრი „თუმო“ ახალგაზრდებს ციფრული ტექნოლოგიებისა და დიზაინის 14 სამიზნე მიმართულებას სთავაზობს, მათ შორისაა: ანიმაცია, ვებდიზაინი, კინემატოგრაფია, მუსიკა, გრაფიკული კომპიუტერული თამაშები და სხვ.

27 United World College Dilijan. მსოფლიოს გაერთიანებული კოლეჯები დაარსდა 1962 წელს. UWC სკოლები 18 ქვეყანაში, (მსოფლიოს ოთხ კონტიტენტზე მდებარეობს) - საერთაშორისო პანსიონი სომხეთში 16-დან 19-მდე წლამდე სტუდენტებისთვის (228 სტუდენტი - მსოფლიოს 80 ქვეყნიდან), რომელიც სთავაზობს მათ საერთაშორისო ბაკალავრიატის სადიპლომო პროგრამას.

28 საქართველოს მიგრაციის სტრატეგია 2016-2020, თავი VIII, საკითხი 1.2.

29 მიღებული განმარტებით, ვებ-პორტალი სატესტო რეჟიმშია.

30 საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია.

რეკომენდაცია N 5

დიასპორული პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების მიზნით მიზანშეწონილია, მიგრაციის საბჭოსთან კოორდინაციით ყოველწლიურ სამოქმედო გეგმებში აისახოს ერთიანი დიასპორული ქსელის შექმნის ღონისძიებები, ხოლო დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა „ერთიან, ძლიერ სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის მქონე დიასპორის“ პროგრამის ფარგლებში განახორციელოს ერთიანი დიასპორული ქსელის დანერგვის და განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებები.

აუდიტორთა ხელმოწერა: **სახელი, გვარი**	**ხელმოწერა**
შალვა ჯავახიშვილი უფროსი აუდიტორი, ჯგუფის ხელმძღვანელი	
ნესტან ჯანელიძე უფროსი აუდიტორი	
გიორგი მშვილდაძე აუდიტორი	
დიანა გასპარიანცი უფროსი აუდიტორ-ასისტენტი	

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38
SAO.GE